№394 2016 წლის 7 მარტი ქ. თბილისი

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტისათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის თაობაზე

1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ:

ა) ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში უეფას III კატეგორიის ფეხბურთის სტადიონის მიმდინარე მშენებლობის პირველი ეტაპის სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 9 947 000 (ცხრა მილიონ ცხრაას ორმოცდაშვიდი ათასი) ლარს, რისთვისაც საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის №1644 განკარგულებით გამოიყო 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარი;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამუშაოებისათვის 2016 წელს ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს 5 700 000 (ხუთი მილიონ შვიდასი ათასი) ლარს.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების ფარგლებში, 2016 წელს განსახორციელებელი სამუშაოების ნაწილობრივი დაფინანსების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ,

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტს გამოუყოს 2 000 000 (ორი მილიონი) ლარი.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**